# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

# და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

# სხდომის ოქმი

# N 49

*25.12.2020*
*13:00 საათი*

*ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2*
*ბიუროს სხდომათა დარბაზი*

მიმდინარე წლის 25 დეკემბერს, 13:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), გიორგი მუსხელიშვილი (კომისიის წევრი), დათო რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე**, მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა და** მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა**, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 7 (შვიდი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი N12-032034578-03, 10.12.2020)* (**მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი);

სხდომა წარიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **სატრანსპორტო საკითხთა** კომისიასთან ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩაკვეტაძე.**

***ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.***

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკითხი კომისიებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა.

**გაიოზ თალაკვაძე** - მოგესალმებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 050 302,5 ათასი ლარით, რაც 2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 021 400,6 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 28 901,9 ათასი ლარით, ხოლო 2021 წლის თავდაპირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან შედარებით გაზრდილია 210 000,0 ათასი ლარით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 020 159,3 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: გადასახადები 657 355,8 ათასი ლარი; გრანტები 205 936,1 ათასი ლარი (წარდგენილ პროექტთან შედარებით გაზრდილია 200 000,0 ათასი ლარით); სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი 175 000,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 156 867,4 ათასი ლარი, მათ შორის პანდემიის გამო შემცირდა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და შეადგინა 25 000,0 ათასი ლარი. ჯამში სხვა შემოსავლები 2020 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში შემცირებულია 46 130,0 ათასი ლარით. რაც შეეხება ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსებას განისაზღვრა შემდეგნაირად: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 174 263,8 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 194 636,5 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 148 944,1 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 4 164,4 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 39 157,3 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 154 136,0 ათასი ლარი; განათლება - 175 094,0 ათასი ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 47 355,8 ათასი ლარი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 4 402,3 ათასი ლარი; ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 108 148,4 ათასი ლარი.

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა განისაზღვრა - 47 355,8 ათასი ლარით, რაც პირველად წარდგენილ პროექტთან (38 814,5 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 8 541,3 ათასი ლარით. 2021 წელს გაგრძელდება კულტურის ობიექტების (თეატრები, მუზეუმი, გალერეა, საბალეტო დასი, ბიგ-ბენდი, პანთეონი) დაფინანსება, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების და მწვრთნელთა მხარდაჭერა, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები, სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (მათ შორის წიგნის ფესტივალი) და სხვა. სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ქვეპროგრამის ფარგლებში გრძელდება მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების მშენებლობა დიდ დიღომში და ვარკეთილში.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა განისაზღვრა - 154 136,0 ათასი ლარით, პროგრამის ფარგლებში გრძელდება სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, სასახლეში, ხელოვნების სკოლებში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში.

ამასთანავე გასათვალისწინებელია ფინანსთა სამინისტროსთან კომუნიკაცია, რომელიც პანდემიიდან გამომდინარე 50 000,0 ათას ლარს გვიმატებს პირველივე შესაძლებლობისთანავე, რომელიც განაწილდება სპორტული ობიექტების აღჭურვისთვის 5 100,0 ათასი ლარით, წყნეთის გზატკეცილზე ფეხბურთის მოედნის მშენებლობისთვის 2 000,0 ათასი ლარია გათვალისწინებული, მთაწმინდის საბაგირო გზის მშენებლობა და სხვა საბაგირო გზების შეკეთება 17 400,0 ათასი ლარი. ეს პროექტები ჯერ არაა ბიუჯეტში ასახული და აისახება თებერვლის თვეში. ასევე ვაკის პარკის კასკადის და შადრევნების რეაბილიტაცია 4 000,0 ათასი ლარი.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

**აზრი გამოთქვეს:**

**გიორგი ჩაკვეტაძე** - დავაზუსტებ, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით პროგრამებს. ბიუჯეტის პირველ ვარიანტთან შედარებით მატება არის გამოწვეული ორი მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობასთან დაკავშირებით დიდ დიღომში და ვარკეთილში, ეს გახლავთ 5 820,0 ათასი ლარი. ჯამში ჩვენი მიმართულებით ბიუჯეტი არის 28 000,0 ათას ლარზე მეტი, ამასთანავე შენარჩუნებულია ყველა ის პროგრამა, რასაც რაიონული გამგეობები, ჯანდაცვის საქალაქო სამსახური და მერია ახორციელებს, ეს არსებული პანდემიის და გამოწვევების ფონზე ძალიან მნიშვნელოვანია და სასიხარულო ფაქტია. რაიონული გამგეობების ბიუჯეტში გათვალისწინებულია 36 ახალი სპორტული მოედნის მოწყობა, 48 მოედნის რეაბილიტაცია და 61 მისამართზე იგეგმება ახალი სატრენაჟორო სივრცეების მოწყობა. არ შემცირებულა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში სწავლების პროგრამა და აღნიშნული ბიუჯეტი მაქსიმალურად პასუხობს კოვიდ პანდემიის გამო შექმნილ გამოწვევებს.

**ირაკლი გვილავა** - სავარაუდოდ ყველა მიზეზის გათვალისწინებით, სექტემბერში გაიხსნება მულტიფუნქციური ცენტრები, გაზაფხულიდან დაიწყება შესაბამისი ინვენტარით და ინფრასტრუქტურით აღჭურვა. რაც შეეხება ავჭალაში, არსებული ეკონომიების გათვალისწინებით შევძლებთ სპორტული ცენტრის საპროექტო სამუშაოების შესყიდვას. ბაგებში უნდა გაკეთდეს მინი სპორტული მოედანი, გადახურული დარბაზით, რომელიც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ტიპის შეხვედრების და ღონისძიებების ჩატარებისთვის. მას ექნება შესაბამისი აღჭურვა და განათების სისტემა, მოედნის საფარი 55/35-ზე ზომებით, გასახდელებით, იქნება 100 კვადრატული სივრცე სარეპეტიციოდ და ავტოპარკინგი. ასევე, მთაწმინდა, ასათიანის ქუჩაზე მოხდება სპორტული ცენტრის რეაბილიტაცია ბიუჯეტის გათვალისწინებით.

**შალვა ოგბაიძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ საავტომობილო ფედერაციისთვის ლილოში გადაცემულ ტერიტორიაზე სადაც უნდა მოეწყოს საავტომობილო სპორტულ-საგანმანათლებლო სივრცე, მულტიფუნქციური კომპლექსი ,,ლილო არენა'' წლევანდელ წელს უკვე მოხდა 150,0 ათას ლარამდე მობილიზება ობლიგაციების გაყიდვით (ცენტრის აბონემენტების გაყიდვით) და დაწყებულია მიწის გრუნტის შესაბამისი სამუშაოები.

**გიორგი ჩაკვეტაძე** - რაც შეეხება 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილებას ჩვენი კომისიის მიერ აღნიშნული საკითხის გატანა კომისიის სხდომაზე არ ხდება იმის გათვალისწინებით, რომ სხვა კომისიებმა უკვე მოახდინეს საკითხის შესწავლა და ჩვენი კომისია მხოლოდ მიესალმება აღნიშნულ ცვლილებას, რომელიც ეკონომიების გათვალისწინებით მოიცავს მატებას

ღონისძიებების ხელშეწყობის ნაწილში სპორტული და ახალგაზრდული კუთხით, ასევე სპორტული ბაზების მატერიალური ტექნიკური ბაზების გაუმჯობესებაში.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, ლევან ჯაფარიძე, გიორგი მუსხელიშვილი, დათო რურუა, შალვა ოგბაიძე - (7), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

**ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:**

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ",** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

*სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე